სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N209

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარეს მოვალეობის შემსრულებლის თამარ კაიკაციშვილის სახით და მეორე მხრივ, **შპს „ვაილდ ჰორნ“** (შემდგომში „შემსრულებელი“)წარმოდგენილი მისი დირექტორის ერეკლე ჩიკვაიძის სახით, („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 63500000; 55300000; 60100000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.შემსრულებელმა დეპარტამენტის სტუმრებს, შიდა ტურის ფარგლებში - კერძოდ ტელეკომპანია „რუსთავი-2“, გადაცემა „დილა მშვიდობისა საქართველოს“ და ტელეკომპანია „პირველი არხის“ ჯურნალისტებსა და ოპერატორებს (სულ 4 (ოთხი) პიროვნება), 2023 წლის 25-27 ივლისის პერიოდში უნდა გაუწიოს გიდის, კვებითი და სატრანსპორტო მომსახურება.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1. გიდის მომსახურების ღირებულება შეადგენს **400** (ოთხასი) ლარს;

2.2. კვებითი მომსახურების ღირებულება შეადგენს **500** (ხუთასი) ლარს;

2.3. სატრანპორტო მომსახურების ღირებულება შეადგენს **900** (ცხრაასი) ლარს;

2.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1800 (ერთი ათას რვაასი) ლარი.**

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. დამკვეთი არ არის ვალდებული შეიძინოს 2.1. 2.2. და 2.3. პუნქტებში მითითებული მომსახურება სრული მოცულობით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2.დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია: საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის სამსახურის დამხმარე საჯარო მოსამსახურე - ლანა აბულაძე.

5.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2023 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	***შპს „ვაილდ ჰორნ“***
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	*მისამართი: ქ.ბათუმი, რ.კომახიძის შესახვევი N6*
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	*საიდენტიფიკაციო კოდი: 445483664*
	ს.ს. ,,თიბისი ბანკი“
	ბანკის კოდი –TBCBGE 22
	ანგარიში N GE58TB7196236080100007
დეპარტამენტის თავმჯდომარეს მ/შ	***დირექტორი***
თამარ კაიკაციშვილი Tamar Kaikatsishvili 61004003135 Digitally signed by Tamar Kaikatsishvili Date: 2023.07.25 18:01:22	ერეკლე ჩიკვაიძე